ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 28 ნოემბერი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
(თანამომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა.ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა.ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაუშქურში და სოფელ გვიმარონში უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური
უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურის სახლისთვის თენგიზ ქაჯაიას სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების
კომისიის თავმჯდომარე);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განადგურებას დაქვემდებარებული ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციისთვის“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა.ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

9. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0,
(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ცატავა)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეს ლ. ლიპარტიას წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა - 35986.2 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 43239.5 ათასი ლარის ოდენობით. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N22 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

(თანამომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ცვლილებები შედის ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების ფუნქციებში კერძოდ საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კოორდინაციას გაუწევს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიების მუშაობას; ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები კოორდინაციას გაუწევენ საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა და ინფრასტრუქტურისა და სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების კომისიების მუშაობას საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში; ზემო აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი: "ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N23 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის და თავისი ფუნქციების შესრულების, მიზნით საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს პერსონალური მონაცემები. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, მერიის დებულების 31-ე მუხლი (საქმისწარმოება და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება) იყოფა 2 მუხლად და 31-ე მუხლით განისაზღვრება საქმისწარმოების მარეგულირებელი ჩანაწერი, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი ნორმები ყალიბდება ახალ 31^1 მუხლად. ახალი მუხლის მიხედვით, ამავე მუხლის დებულებები გავრცელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც. დადგენილების პროექტით ასევე გათვალისწინებულია საჯარო სამსახურის ბიუროს გაუქმებისა და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად დებულებაში ბიუროს ჩანაცვლება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციით, ხოლო მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის სახელწოდების ცვლილების გამო - მისი დასახელების გასწორება. ასევე განივრცო სამსახურში პირის მისაღებად მოთხოვნილი დოკუმენტთა ნუსხა, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N24 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა.ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე (ს/კ 45.08.21.525) განთავსებულია 66 კვ.მ ფართის მქონე დარბაზი, რომელიც დაუტვირთავია. აღნიშნულ ფართთან დაკავშირებით შემოსულია ქორეოგრაფ ნია ცაავას განცხადება, რომელიც ითხოვს აღნიშნული ფართის იჯარით აღებას ქორეოგრაფიული სტუდიის მოსაწყობად. ვინაიდან სოფელს არ გააჩნია სხვა ალტერნატიული ფართი აღნიშნული საქმიანობისათვის, მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა ფართი იჯარის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს ნია ცაავას ორი წლის ვადით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N37 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა.ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბულიწყუში მდებარე წყლის სისტემის მაგისტრალი 2800 გრძივ მეტრის ოდენობით, რომელიც ექსპლოატაციაში შესულია 2025 წელს. მისი მოვლა-შენახვისა და ნორმალურად ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილად მიაჩნიათ აღნიშნული მაგისტრალი თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადაეცეს შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას“, რაზედაც წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N38 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაუშქურში და სოფელ გვიმარონში უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაუშქურში და სოფელ გვიმარონში უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან წარმოდგენილ საკითხზე შუა ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების გვიმარონისა და ჭითაუშქურის სახელდებასთან დაკავშირებით, კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებას, რის შემდეგაც საკითხი გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ

სამთავრობო კომისიას, საიდანაც წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად მიღებული იქნა თანხმობა სოფელ ჭითაუშქურში N1,2,4.6,7 ქუჩების სახელედების თაობაზე, ხოლო უარი ეთქვა N3,5 ქუჩების სახელდებას, სოფელ გვიმარონში მიღებულ იქნა თანხმობა N1,4,5,6,7,8,9 ქუჩების სახელდებაზე, ხოლო უარი ეთქვა N2,3 ქუჩების სახელდებაზე. ამ ეტაპზე წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის შუა ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ჭითაუშქურისა და გვიმარონის ქუჩების სახელდების შესახებ“ და ხორციელდება იმ ქუჩების სახელდება, რომლებზეც მიღებულ იქნა თანხმობები, ხოლო იმ ქუჩებთან დაკავშირებით, რომლებზეც კომისიამ მიიღო უარი, ეცნობა მუნიციპალიტეტის მერიას რეკომენდაციის შესაბამისი წინადადების წარმოდგენის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ს. ბერაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N39 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურის სახლისთვის თენგიზ ქაჯაიას სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების
კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურის სახლისთვის თენგიზ ქაჯაიას სახელის მინიჭების შესახებ“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოვიდა წერილი, რომელშიც განმარტებული იყო, რომ მერიაში შევიდა საინიციატივო ჯგუფის განცხადება საჯიჯაოს

ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურის სახლისთვის ხობის რაიონის პირველი პრეფექტის, ამავე სოფელში დაბადებული თენგიზ ქაჯაიას სახელის მინიჭების თაობაზე. თენგიზ ქაჯაია იყო ქვეყნის და საკუთარი რაიონის პატრიოტი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, ხობის რაიონის პირველი პრეფექტი, რომელიც ზვარაკად შეეწირა საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას. წარმოდგენილი წინადადება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, შესწავლილ იქნა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ, აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობასთან ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რის შემდეგაც საკითხი შესათანხმებლად გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საიდანაც მიღებული თანხმობის შემდგომ კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურის სახლისთვის თენგიზ ქაჯაიას სახელის მინიჭების შესახებ“. კომისიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ს. ბერაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N40 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განადგურებას დაქვემდებარებული ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციისთვის“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა.ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განადგურებას დაქვემდებარებული ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციისთვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით წლების განმავლობაში, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დაგროვილია დიდი ოდენობით ჩამოწერილი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები და მათგან წარმოქმნილი ნარჩენები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მხრიდან შემდგომ გამოყენებას არ ექვემდებარება. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების და მათგან წარმოქმნილი ნარჩენების ხელახალი გამოყენების, რეციკლირების ან სხვაგვარად აღდგენისა და ასეთი ნარჩენის შემდგომი განთავსება რეგლამენტირებულია „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით, რომლის მიხედვითაც, მომხმარებელი, რომელსაც სურს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მოშორება, ვალდებულია მიიტანოს ნარჩენები ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად შექმნილ ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების შეგროვების პუნქტში, ან გადასცეს ნარჩენები ნარჩენების უფლებამოსილ შემგროვებელს, ან გადასცეს ნარჩენები შესაბამის დისტრიბუტორებს, ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. ამასთანავე, დაუშვებელია ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების განთავსება შერეულ მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად. ზემოთ აღნიშნული გარემოებებისა და ვალდებულებების შესაბამისად, 2025 წლის 12 ივნისს ხობის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებულ ასოციაციას" შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც სხვა ვალდებულებებთან ერთად ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციფიკური ნარჩენების (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა/ბატარეები და აკუმულატორები) სეპარირებულ შეგროვებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ადგილის გამოყოფას და სპეციალური ბრენდირებული შემკრები კონტეინერების განთავსებას, სადაც მოსახლეობის მიერ მოთავსდება სპეციფიკური ნარჩენები. აღნიშნული ნარჩენების შემდგომი განკარგვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განადგურებას დაქვემდებარებული ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციისთვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ", საკრებულოს მხრიდან მერისთვის შესაბამისი თანხმობის მიცემის შემდგომ, ხობის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებულ ასოციაციას" შორის გაფორმდება ხელშეკრულება ნარჩენის გადაცემის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ს. ბერაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N41 ოქმს თან ერთვის)

9. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილებაზე", ხოლო საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის" თავმჯდომარე განცხადებით ითხოვს ფრაქციის თავმჯდომარისთვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტის ფარგლებში ბენზინის დიზელით ჩანაცვლებას. კომისიის მხრიდან შესწავლილ იქნა ზემო აღნიშნული წინადადებები და მიზანშეზონილად იქნა მიჩნეული საკითხების ერთ განკარგულების პროექტად გაერთიანება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილია განკარგულების პროექტი: „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ს. ბერაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N42 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეექვსე მოწვევის საკრებულოს 2025 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. გიორგი გვასალია
4. დოდო გაბუნია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. მიმოზა ლემონჯავა
10. მანუჩარ ქაძანაია
11. ნუგზარ შუშანია
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. გურამი ქირია
17. ირაკლი სახურია
18. ზაზა ალექსანდრია
19. ფრიდონ კუკავა
20. ირაკლი ალანია
21. ანი ბუცხრიკიძე
22. გიგა კაპანაძე
23. ლაშა ცატავა
24. კობა შონია
25. ივერი ბერიძე
26. გიორგი ბერაია
27. ზვიადი სულამანიძე
28. სერგო ბერაია
29. გია წულაია